ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

მწვანე ეკონომიკისკენ EU4Environment პროგრამასთან ერთად
საქართველოში

EU4Environment
სოლიდარობას
უცხადებს
უკრაინელ ხალხს

ქარის ელექტროსადგური
საქართველოში

2021-2022
წლების მიღწევები

პროგრამა ხორციელდება შემდეგი ორგანიზაციების მიერ:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

2019 წლიდან მოყოლებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment პროგრამა ეხმარება საქართველოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) სხვა ქვეყნებთან ერთად, მწვანე ტრანსფორმაციის გზაზე სვლაში. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ამ ქვეყნების ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას და ადამიანების ეკოლოგიური კეთილდღეობის გაზრდას გარემოსდაცვითი მოქმედებების მხარდაჭერით, უფრო მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებით, ამ შესაძლებლობების შექმნის და გარემოზე ზემოქმედების რისკების უკეთ მართვის მექანიზმების შემოღებით. პროგრამა ერთიანი სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში მოიცავს: უფრო მწვანე გადაწყვეტილებების მიღებას, წრიულ ეკონომიკას, ე.წ. გონივრულ გარემოსდაცვით რეგულაციებს, ეკოსისტემების დაცვას და ცოდნის გაზიარებას.

საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების შესახებ ევროპის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, EU4Environment პროგრამა აძლიერებს საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაჩქარებული ჰარმონიზაციის მხარდაჭერას.

2021 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრებმა აღიარეს ევროპის მწვანე შეთანხმება (EGD), როგორც ამ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირი.

2022 წლის დასაწყისში EU4Environment პროგრამის ფარგლებში მიდინარე ღონიეძიებებს ეწოდა „EU4Environment - მწვანე ეკონომიკა“. ეს ცვლილება განპირობებული იყო EU4Environment-ის ქოლგის ქვეშ ახალი ქვეპროგრამის „EU4Environment – წყალი და მონაცემები“ ამოქმედებით.

მოცემული ბროშურა ასახავს პროგრამა „EU4Environment – მწვანე ეკონომიკა“ ზოგიერთ მიღწევას 2021-22 წლებში, რომლებიც გვიჩვენებს ხელშესახებ შედეგებს საქართველოში და ასევე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონის დონეზე.

საქართველოს მიღწევები

- განახლდა **ნარჩენების მართვის 2016-30 წლების სტრატეგია** და შემუშავდა, **2022-26 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა**
- მიღებულია **ახალი კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ**
- **შეიქმნა 2 ახალი RECP კლუბი,** რომელშიც გაერთიანდა **17 საწარმო**
- **53 თანამდებობის პირი და ექსპერტი** გადამზადდა ეკოეტიკეტირების მიმართულებით
- **12 საჯარო მოხელემ** გაიარა სიღრმისეული კურსი მწვანე ეკონომიკაში
- მიღებულია **ტყის ახალი კოდექსი**
- მიღებულია მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის (**EPR**) **შესახებ რეგულაციები** ნარჩენების 4 ტიპისათვის
- შემუშავდა მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა

მწვანე გადაწყვეტილებების მიღება საქართველოში

- მწვანე ეკონომიკის სიღრმისეული კურსი გაიარა **12-მა საჯარო მოხელემ**. მწვანე ეკონომიკის შესავალი კურსი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი გახდა საჯარო მოხელეებისა და ფართო საზოგადოებისთვის.
- **გურჯაანის მუნიციპალიტეტის და ქალაქ გურჯაანის სივრცითი მოწყობის და განაშენიანების გეგმების საპილოტე სტრატეგიულმა გარემოსდაცვითმა შეფასებამ (სგშ)** პრაქტიკული სწავლების კარგი შესაძლობლობა მისცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი მოწყობის და განაშენიანების გეგმების სგშ-თან დაკავშირებით. აღნიშნული ღონისძიებები ჩატარდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად.
- **ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ)/ესპოს კონვენციის** შესახებ ვიდეო, რომელიც ქართულად ითარგმნა, ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას და ტრანსსასაზღვრო გზშ გამოყენებას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

ჩვენი წარმატების მაგალითი – ქართული ფერმა თბილისში

"ქართული ფერმა" რძის პროდუქტების მწარმოებელი მცირე კომპანიაა, რომელიც მდებარეობს თბილისში. საწარმოო პროცესში მოიხმარება საკმაოდ დიდი რაოდენობით სითბური (პასტერიზაცია, გასუფთავება და ნედლეულის მომზადება) და ელექტროენერგია (გაგრილება, შეფუთვა და ძირითადი საწარმოო ხაზები) სანიტარულ-ჰიგიენური და სურსათის უვნებლობის სტანდარტების დასაცავად და სითბოს გენერირებისთვის. ასევე აუცილებელია წყალი.

ამ გამოწვევებზე საპასუხოდ „ქართულ ფერმას" შესთავაზეს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) მეთოდოლოგიის დანერგვა რესურსების რაციონალური მოხმარების და ხარჯების შემცირების მიზნით. რესურსეფექტური ღონისძიებების გამოყენებას მერძევეობის სექტორში მოჰყვება მაღალი ფინანსური უკუგება. ეს პირდაპირ მოქმედებს საწარმოს კონკურენტუნარიანობაზე, საზოგადოების მიერ მის ცნობადობასა და გარემოსდაცვითი ნორმების შესრულებაზე. 2015 წელს EaP GREEN პროგრამის ფარგლებში ქართული ფერმა შეირჩა სადემონსტრაციო საწარმოდ.ამან კომპანიას შეუქმნა ენერგომოხმარების შემცირების და გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესების მოტივაცია.

„ჩვენი კომპანია მოიხმარდა საკმაოდ ბევრ ენერგიას და წყალს... RECP ღონისძიებების განხორციელების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა: ამან მიგვიყვანა ენერგიის და წყლის მოხმარების შემცირებამდე და ნარჩენების მნიშვნელოვან კლებამდე," - გვითხრა რომან იშხნელმა, მთავარმა ინჟინერმა. საბოლოო შედეგები ასეთია:

- ერთ ტონა წარმოებულ პროდუქციაზე წყლის მოხმარების 40%-ით შემცირება;
- ერთ ტონა წარმოებულ პროდუქციაზე თბოენერგიის მოხმარების 14% შემცირება;
- ერთ ტონა წარმოებულ პროდუქციაზე ელექტროენერგიის მოხმარების 29% შემცირება;
- ენერგოეკონომიამ შედეგად მოგვცა 4.75 ტონა CO_2 ექვივალენტის ემისიების შემცირება წელიწადში.

მიღწევები დაზოგვის კუთხით

ძირითადი განხორციელებული ზომები

ვარიანტი 1: ორთქლის ბოილერის კედლების თბოიზოლირება

ვარიანტი 2: გასაგრილებელი წყლის სისტემის დამატებითი ცისტერნის კედლების თბოიზოლირება

ვარიანტი 3: წყლის ელექტროგამაცხელებელის შეცვლა კალორიფერით

მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლები	ინვესტიცია (ევრო)	დანაზოგი (ევრო წელიწადში)	უკუგების პერიოდი (წელი)
ვარიანტი 1	85	219	0.4
ვარიანტი 2	400	1,317	0.4
ვარიანტი 3	200	1,151	0.2
სულ	**775**	**2,741**	**–**

რესურსების დაზოგვა	წყალი (მ³/წ)	ენერგია (კვტსთ/წ)	საწვავი (ბუნებრივი გაზი) (მ³/წ)
ვარიანტი 1	–	7,200	735
ვარიანტი 2	810	–	–
ვარიანტი 3	–	21,513*	1,109
სულ	**810**	**28,713**	**1,844**

მთლიანად დაბინძურების შემცირება	CO_2 ექვ (ტ/წ)	ჩამდ. წყალი (მ³/წ)
სულ	**4,756**	**810**

წრიული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები საქართველოში

- ქვემო ქართლსა და კახეთში დაარსდა **რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ორი კლუბი** და შემუშავდა RECP სამოქმედო გეგმა 17 საწარმოსთვის.
- RECP მეთოდოლოგიის შესახებ კლუბებში ჩატარებული სწავლების შემდგომ **40-ზე მეტ მცირე და საშუალო საწარმოს და ფიზიკურ პირს** მიენიჭა მონაწილეობის სერთიფიკატი.
- ორ რეგიონში - **რუსთავსა** და **ზესტაფონში** შემუშავდა სამრეწველო ნარჩენების რუკა, რომლის დახმარებითაც საწარმოები განიხილავენ ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობებს და სამრეწველო სიმბიოზის შექმნის ვარიანტებს.
- RECP სასწავლო პროგრამა დახმარებით **13 ქართველმა ექსპერტმა**, მიიღო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საწარმოში RECP შესაძებლობების შეფასებების შესახებ.
- სურსათისა და სასმელების, სამშენებლო მასალების და სხვა დარგებისთვის გათვალისწინებულმა სადემონსტრაციო პროგრამამ ხელი შეუწყო ენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებული **RECP მომგებიანი ღონისძიებების** იდენტიფიცირებას. ენერგიის დანაკარგების შემცირება და ენერგიის გარდაქმნის ეფექტურობის ამაღლება ათი სადემონსტრაციო კომპანიის მთავარი პრიორიტეტული სფერო გახდა.
- RECP ვებსაიტის და პარტნიორების ფეისბუკის გვერდების საშუალებით ხელი შეეწყო წრიული ეკონომიკისა და RECP შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
- RECP ქსელის დახმარებით 35-მა დაინტერესებულმა მხარემ ერთმანეთს გაუზიარა ცოდნა ქვეყანაში ელექტროენერგიის მიკროგენერირების და მზის ელექტროსადგურების გამოყენების თაობაზე.
- 2022 წლის ევროკავშირის სამრეწველო კვირეულის ფარგლებში საქართველოში ჩატარებულ ეროვნულ RECP კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში **სამრეწველო საწარმოების მწვანე გარდაქმნის** და მასთან დაკავშირებული ფინანსური სარგებლიანობის პოპულარიზაციას.
- საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერის ფარგლებში შემუშავდა **მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების** (SPP) რეგულაციები. ამ დახმარების ფარგლებში შემუშავებული SPP სამართლებრივი დებულებების განხორციელების მიზნით მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელოები. განისაზღვრა ასევე პრიორიტეტული პროდუქტები და სერვისები მომავალი SPP საპილოტე ტენდერებისათვის. გარდა ამისა, გამოქვეყნდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მოიცავს მდგრადობის კრიტერიუმებს შერჩეული პრიორიტეტული საქონლისა და მომსახურებისთვის.
- ქართულ ენაზე მომზადებულ ვიდეომასალას SPP სარგებლის შესახებ გაეცნო და ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო **170-ზე მეტმა ადამიანმა**, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა. მონაწილეებს განემარტათ SPP სამართლებრივ დებულებები, პრიორიტეტული პროდუქტები, ბაზრის მზადყოფნა და შერჩეული პროდუქტებისთვის SPP კრიტერიუმები.
- შეფასდა ქვეყანაში ეკოეტიკეტირების ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა, რის შემდგომ ეკოეტიკეტირების შესახებ ჩატარებულ ტრენინგზე 53-ზე მეტი სახელმწიფო მოხელე და ექსპერტი გაეცნო ამ მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებს.
- ტექნიკური კვლევები, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა 2016-2020 წლების ნარჩენების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულება და შეფასდა ნარჩენების მართვის არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურა, საფუძვლად დაედო 2016-30 წლების საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის განახლებას და 2022-26 წლების ნარჩენების ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას.
- დასრულდა ეკოინოვაციურობის პოტენციალის შეფასება ეკონომიკის ძირითადი სექტორებისათვის, რომლის საფუძველზეც შეირჩა რვა მცირე და საშუალო საწარმო სასტუმროების და სოფლის მეურნეობის დარგებიდან, მათთვის ეკოინოვაციების დასანერგად საგზაო რუკების შემუშავების მიზნით.

ჩვენი წარმატების მაგალითი – EU4Environment ხელს უწყობს საქართველოს მწვანე გარდაქმნას

EU4Environment პროგრამის ფარგლებში ქართულ ენაზე შემუშავდა ელექტრონული სწავლების უფასო ათსაათიანი კურსი „შესავალი მწვანე ეკონომიკაში“. კურსის გავლის შემდეგ მსმენელები იღებენ სერთიფიკატს. კურსი აღწერს ძირითად კონცეფციებს, პოლიტიკის ინსტრუმენტებს და საერთაშორისო მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინკლუზიური მწვანე ეკონომიკის განვითარებას ყველა დონეზე. კურსი შედგება ხუთი მოდულისგან სწავლის ეფექტურობის ასამაღლებელი ინტერაქტიული სავარჯიშოებით.

ჩვენი წარმატების მაგალითი – რა სარგებლის მოტანა შეუძლია მწვანე ინვესტიციებს საქართველოს მცირე ბიზნესისათვის?

მწვანე პროექტების ანხორციელებამ მცირე და საშუალო ბიზნესს შეიძლება მოუტანოს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი სარგებელი. მცირე ბიზნესს მწვანე პროექტებში ინვესტირების სურვილი შეიძლება რამდენიმე მიზეზის გამო გაუჩნდეს, თუნდაც რეგულაციები ამას არ ითხოვდეს. ესაა: ხარჯების შემცირება, უპირატესობის მიღება ბაზარზე, მწვანე მიწოდების ჯაჭვები და გარემოზე ზემოქმედების შემცირება. EU4Environment პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ელექტრონული ბარათები, რომლებშიც წარმოდგენილია მწვანე ინვესტიციების სარგებელი და აღწერილია განაცხადის გაკათების პროცედურები. ბარათები მეწარმეებს აძლევს მწვანე პროექტებში ინვესტირების სტიმულს.

სამეწარმოო საქმიანობისათვის დაბალანსებული გარემოსდაცვითი სამართლებრივი პირობების შექმნა და გარემოსა და ეკონომიკას შორის ურთიერთკავშირის მონიტორიგი საქართველოში

- საქართველოს გარემოსდაცვითი კანონაღსრულების სისტემის შეფასების ფარგლებში მოხდა არსებული სისტემის აღწერა, სუსტი მხარეების გამოვლენა და შემუშავდა რეკომენდაციები მისი გაუმჯობესებისათვის.
- მწვანე სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამის შემუშავებამ ხელი შეუწყო მცირე მასშტაბის საინვესტიციო პროექტების დაფინანსების გზით შინამეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სურსათისა და სასმელების წარმოებისა და მომსახურების სექტორებში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უტილიზაციას. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები ხელს უწყობს კერძო შიდა ინვესტიციების და საერთაშორისო თანადაფინანსების მოზიდვას ადგილობრივ პროექტებში, რომლებსაც მოაქვს გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი.
- დანიელი და იტალიელი, ასევე ბიოენერგეტიკის სექტორის (საერთაშორისო თანამეგობრობა) ექსპერტებთან ერთად ჩატარებულ ვებინარზე მოხდა სოფლის მეურნეობის ნარჩენების ენერგიის გენერირების მიზნით გამოყენების საუკეთესო მაგალითების გაზიარება.
- „EaP ქვეყნებში სასესხო კაპიტალის ბაზრების გამწვანება და მწვანე ობლიგაციების როლი“ კვლევის ფარგლებში ჩატარებული ანალიზი დაგვეხმარა შეგვეფასებინა საქართველოს მზადყოფნა მწვანე ინვესტიციების მიზნით სასესხო კაპიტალის დაფინანსების ათვისების კუთხით.

გარკვეულწილად დაირღვა ეკონომიკური ზრდასა და ბუნებრივი რესურსების მზარდ მოხმარებას შორის კავშირი, თუმცა პრობლემები კვლავ რჩება





ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში მიღწეულია პროგრესი, თუმცა მეტის გაკეთება შეიძლება



შეიძლება მეტი ეკონომიკური შესაძლებლობა გაჩნდეს



ეკოსისტემური სერვისები და საარსებო საშუალებები საქართველოში

- 2021 წელს EU4Environment პროგრამაში ჩაერთო მსოფლიო ბანკი და ის ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და ტყეების დაცვას საქართველოში.
- 2022 წელს EU4Environment პროგრამის მთავარი აქცენტი საქართველოში კეთდებოდა ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებზე ტყის ჰაბიტატების ჩამოყალიბებაზე და მათ მართვაზე. ეს მოიცავდა ღონისძიებებს შემდეგი მიმართულებებით:
  - საქართველოში ზურმუხტის ტერიტორიების მართვის გამოცდილების ანალიზი, ტყეებზე ყურადღების გამახვილებით. გაანალიზდა საკითხები, როგორციაა: მართვის მიდგომები, გამოწვევები, გაუმჯობესების გზები;
  - ევროკავშირის Natura 2000-ის ტერიტორიებზე გამოყენებული ტყის მართვის სახელმძღვანელო მითითებების/რეგულაციებისა და პრაქტიკის მიმოხილვა და ანალიზი;
  - საქართველოს ზურმუხტის ტერიტორიებზე ტყის ჰაბიტატების მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება და შესაბამისი ორგანოების მიერ სახელმძღვანელო პრინციპების ამოქმედების ხელშეწყობა;
  - სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებისთვის საჭირო პოტენციალის ჩამოყალიბება.
- 2022 წელს პროგრამა ასევე ფოკუსირებული იყო ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მართვაში თემების მხარდაჭერაზე, რაც მოიცავდა შეშაზე დამოკიდებული თემებისთვის საწვავი ბრიკეტების დასამზადებლად ტყის ბიომასისა და ხე-ტყის გადამუშავების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობების შესწავლას, ქალაქების გარეუბნებში ეკოტურიზმის განვითარების გეგმების და ტყის მართვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას.

იცოდით? ... ზურმუხტის ქსელი საქართველოში მოიცავს 66 ტერიტორიას, რომელიც ქვეყნის მთლიანი ფართის დაახლოებით ერთ მეხუთედს ფარავს? ეს დაცული ტერიტორიების ფართობის ძალიან მნიშვნელოვანი ზრდაა, თუ შევადარებთ იმ მაჩვენებელს, რომელიც ქვეყანაში იყო ბერნის კონვენციის ხელმოწერამდე. საქართველოს ბიომრავალფეროვნება განვრცობილია სამ სახმელეთო ბიო-გეოგრაფიულ რეგიონზე. ყველაზე დიდი (-ალპური) ზონა მოიცავს დიდი და მცირე კავკასიონის ქედებს და ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს; შავი ზღვის რეგიონი მოიცავს დაბლობებს ქვეყნის დასავლეთით, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს შედარებით მცირე - სტეპების რეგიონი, რომელიც აზარბაიჯანიდან შემოდის საქართველოში. ქვეყანაში ბერნის კონვენციით დაცულია 150 ჰაბიტატი, 117 ფრინველის და 129 სხვა სახეობა.



რეგიონული აქტივობების მიმოხილვა

- **მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების** და **ეკოეტიკეტირების** საკითხებზე ჩატარებულ რეგიონულ ვებინარებში და სემინარებში მონაწილეობა მიიღო თითქმის 540 სპეციალისტმა. ამ შეხვედრებზე მათ გაიღრმავეს მწვანე პროდუქტების შესახებ ცოდნა და გაეცნენ წარმატების მაგალითებს.

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლები გაეცნენ მცირე და საშუალო ბიზნესზე ორინტირებულ ახალ **I-GO მეთოდოლოგიას**; სამოცდაათზე მეტმა პრაქტიკოსმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება აღმოსავლეთ პარტნიორობის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდოლოგიის დანერგვის ხელშეწყობა.

- რეგიონულ შეხვედრაზე, რომლის თემა გახლდათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების „გამწვანება“, მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტმა წარმომადგენელმა და მათ განიხილეს **ბიზნესკონკურენტუნარიანობის** გაძლიერების საკითხები. მონაწილეები გაეცნენ რესურსეფექტური და სუფთა წარმოების და ეკოინდუსტრიული პარკების, ასევე სამრეწველო ნარჩენების მართვის მეთოდოლოგიის გამოყენების მაგალითებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

- ევროკავშირის მწვანე კვირეულის ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამრეწველო საწარმოებისა და ექსპერტებისთვის გასაცნობად, გამოიცა საინფორმაციო ბიულეტენი **ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქტების და პროდუქტების ეკოლოგიური ნაკვალევის (PIF) მეთოდის შესახებ**.

- „გაამწვანე მრეწველობა“ კამპანიის ფარგლებში გამოიცა ყოველთვიური საინფორმაციო ბროშურა, რომელშიც წარმოდგენილია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ქვეყნების სამრეწველო საწარმოების შეფასება რესურსეფექტური და სუფთა წარმოების პრაქტიკის დანერგვის თვალსაზრისით.

- რეგიონული ანალიტიკური კვლევის ფარგლებში შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში შეფუთვის ნარჩენების სფეროში მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის **(EPR) სქემების** შემოღების მხრივ არსებული ვითარება.

- ჩატარდა სამი რეგიონული ვებინარი მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის სფეროშო შესაძლებლობების გაძლერების მიზნით, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების **180** წარმომადგენელმა, საიდანაც თითქმის ნახევარი ქალბატონი გახლდათ. მონაწილეება ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება და გაეცნენ ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას.

- ევროკავშირის მწვანე კვირეულის ფარგლებში შეიქმნა **ინგლისურენოვანი** ვიდეორგოლი **მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების (SPP)** სარგებლის შესახებ.

- გაიმართა მეორე რეგიონული შეხვედრა თემაზე **გარემოსდაცვითი კანონაღსრულება**, რომელშიც მონაწილეობა მიიღო OECD და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების **77 წარმომადგენელმა**. მათ განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გარემოსდაცვითი კანონაღსრულების პოლიტიკის სხავადსხვა ასპექტები, კანონაღსრულების ეფექტური ინსტრუმენტები, კანონდარღვევების შემთხვევაში ოპტიმალური საჯარიმო სანქციები.

- შოტლანდიის გარემოს დაცვის სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა სემინარი, რომელიც მიეძღვნა **საინფორმაციო სისტემების** კუთხით შესაძლებლობების გაძლიერებას და რომელშიც მონაწილეობა მიიღო **50-ზე მეტმა წარმომადგენელმა**. მონაწილეები გაეცნენ ევროპაში მოქმედი გარემოსდაცვითი ნებართვების გამცემი და საინსპექციო ორგანოების მიერ გამოყენებულ საინფორმაციო სისტემების სხვადასხვა ვარიანტებს, მათ შორის, დაბალტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, ასევე, შედარებით მაღატექნოლოგიურ სისტემებს და ასეთი სისტემების პოტენციურ ნაკლოვანებებს.

- შესაძლებლობების გაძლიერების რიგით მეორე სემინარში "ერთობლივი გარემოსდაცვითი ინსპექტირება" მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის და OECD წევრი სახელმწიფოების 55 მონაწილემ. სხვა საკითხებთან ერთად, სემინარზე ჩატარდა პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებზეც მონაწილეებმა ისმჯელეს ნარჩენების გადაზიდვის ერთობლივი ინსპექტირების გეგმის შესახებ.

- სხვადასხვა ტრენინგებში და ღონისძიებებში მონაწილეობით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა გაიღრმავეს კომპეტენცია **გარემოსდაცვითი კანონაღსრულების საერთაშორისო ქსელის** საქმიანობის შესახებ. ეს ღონისძიებები ორგანიზებულ იქნა **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ევროკავშირის ქსელის (IMPEL) და მოსამართლეები გარემოსათვის ევროკავშირის ფორუმის (EUFJE)** მიერ. ღონისძიებები ეძღვნებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა „გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასების კრიტერიუმები“, „ნარჩენების მართვის კანონმდებლობის აღსრულების დაგეგმვის და ინსპექტირების პრაქტიკული

შესაძლებლობები მიყენებული ზიანის შეფასების ჭრილში“ და „ჰაერში ემისიების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების შემოწმების სტრატეგიები“.

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდა ოთხი ვებინარი თემაზე **მწავანე სახელმწიფო დანახარჯები**, მწვანე საჯარო ინვესტიციების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ვებინარებზე მოხდა მსგავს დანახარჯებთან დაკავშირებით ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული პროგრამების მართვის საკითზებზე გამოცდილების გაზიარება. მათ შორის, განხილულ იქნა: ჩეხეთის რესპუბლიკასა და პოლონეთში გარემოსდაცვითი ფონდების გამოყენება, ალტერნატიული სქემები ავსტრიაში, შვეიცარიაში და ნიდერლანდებში. ექსპერტებმა დანიიდან, იტალიიდან და საერთაშორისო ბიოენერგიის სექტორიდან გააკეთეს მოხსენებები ენერგორესურსების მიღების მიზნით ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გამოყენებაზე. სპეციალისტებმა ავსტრიიდან, რუმინეთიდან და სლოვაკეთიდან ისაუბრეს თავიანთ ქვეყნებში სოფლად და მოშორებულ დასახლებებში წყლის მზარდი მიწოდების და ჩამდინარე წყლების გაწმენდის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

- ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოიცა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში წიაღისეული საწვავის სუბსიდიების შესახებ ანგარიში. მონაცემები ამ ნაშრომიდან ამჟამად ხელმისაწვდომია „წიაღისეული საწვავის წარმოების და მოხმარების სახელმწიფო მხარდაჭერა“ OECD მონაცემთა ბაზაში. დაიწყო შემდგომი სამუშაოები წიაღისეული საწვავის შესახებ ახალი მონაცემების შესაგროვებლად, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების მიერ წიაღისეული საწვავის სფეროს მხარდასაჭერად 2020 წელს გატარებული ღონისძიებების შესახებ.

- გამოქვეყნდა დოკუმენტი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში წიაღისეული საწვავის სუბსიდიების პოლიტიკის შესახებ, რომელიც მოიცავს 2016-20 წლებს და აქცენტი გაკეთებულია 2020 წლის სუბსიდიებზე.

- 2021 წელს ორგანიზებულ OECD მწვანე სამოქმედო გეგმის აღმასრულებელი ჯგუფის შეხვედრაზე და აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში მდგრადი ფინანსირების შესახებ ფორუმზე სპეციალური სესიები მიეძღვნა **მწვანე ობლიგაციებს**. ამ შეხვედრებზე მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება მწვანე ობლიგაციების გამოშვების და გამოყენების საკითხებზე და პრაქტიკული რჩევები მისცეს ამ სფეროში შემოსულ ახალბედა მონაწილეებს.

- 2022 წელს, დედამიწის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, EU4Environment პროგრამის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საკომუნიკაციო კამპანიაში “განახორციელე ინვესტიციები ჩვენს პლანეტაში.“ ამ ღონისძიების ფარგლებში დაიწერა სტატიები „ინდუსტრიული სექტორის გამწვანება“ და „როგორ შეუძლია წიაღისეული საწვავის სუბსიდირების აღრიცხვას უზრუნველყოს მეტი რესურსები მწვანე ენერიგაზე გადასვლისათვის“.

- მესამე რეგიონულ ასამბლეაზე შეფასდა EU4Environment პროგრამის განხორციელების პროგრესი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკების გამწვანების თვალსაზრისით. ამ ღონისძიებას დაესწრო 110 ადამიანი, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მინისტრის მოადგილეები და სხვა მაღალი თანამდეობის პირები.

- ხუთ ქვეყანაში ჩატრდა მსხვილმასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები თემებზე: ნულოვანი დაბინძურება, ნარჩენების მართვა, მწვანე ეკონომიკა და ევროკავშირის მწვანე შეთანხმების ხელშეწყობა. კამპანიებში მონაწილეობა მიიღო 250 000-ზე მეტმა ადამიანმა.

- EU4Environment პროგრამის ვებგვერდით ისარგებლა დაახლოებით 360 000 ადამიანმა, და პროგრამის შესახებ ინფორმაცია სოციალური მედიით მიიღო 500 000-მდე პირმა.

- EU4Environment პროგრამის ახალი ამბების ბროშურა გაეგზავნა 600-ზე მეტ მომხმარებელს.

იხილეთ პროგრამის შუალედური მიღწევები ჩვენს ბროშურაში

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები წინ მიიწევენ მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის გაზაზე
სომხეთსა და მოლდოვაში შემუშავდა მწვანე ეკონომიკის სამოქმედო გეგმები, კონცეფციები და სტრატეგიები
საქართველოსა და მოლდოვაში შემუშავდა ეროვნული ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმები
მოლდოვაში გარემოს დაცვის სამინისტრო ჩამოყალიბდა როგორც ცალკე ორგანო
2021 წელს 195 ექსპერტმა გაიარა მომზადება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში
საქართველოში მიღებული იქნა ახალი ტყის კოდექსი
შესავალი კურსი მწვანე ეკონომიკაში ხელმისაწვდომია 5 ენაზე
გარემოს დაცვის კანონში შევიდა ცვლილებები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში
საქართველოში მიიღეს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ
მწვანე ეკონომიკაში მომზადდა თითქმის 50 ექსპერტი
2021 წელს RECP მეთოდოლოგიაში მომზადდა დაახლოებით 270 ექსპერტი
2019 წელს პროგრამის დაწყების შემდგომ შეიქმნა 10 RECP კლუბი
100-ზე მეტმა მცირე და საშუალო საწარმომ ისარგებლა RECP მეთოდოლოგიის გამოყენებით
2019 წელს დაწყების შემდგომ პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა 1 500 000-ზე მეტ ადამიანს
საქართველოს და მოლდოვაში შეიმუშავეს მდგრად საჯარო შესყიდვებზე კანონმდებლობა
აზერბაიჯანში, საქართველოსა და მოლდოვაში მომზადდა 75 საჯარო მოხელე და ექსპერტი მწვანე სახელმწიფო ინვესტიციების პროგრამების შემუშავებაში
აზერბაიჯანსა და მოლდოვაში შემუშავდა ცვლილებები გზშ და სგშ კანონმდებლობაში.
მზადდება უკრაინასა და რუმინეთს შორის ტრანსსასაზღვრო გზშ-ზე ორმხრივი შეთანხმების პროექტი
დაახლოებით 45 ექსპერტმა გაიარა მომზადება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების გასაძლიერებლად საინფორმაციო სისტემების გამოყენებაში

2022 წელს დაიწყო EU4Environment ოჯახის ახალი პროგრამა

წყლის რესურსების მართვა და გარემოსდაცვითი მონაცემები

2022 წლის დასაწყისში ახალი შემადგენელი პროგრამის „წყლის რესურსების მართვა და გარემოსდაცვითი მონაცემები“ (EU4Environment - წყლის რესურსები და მონაცემები) დაწყებამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კიდევ უფრო გაძლიერა EU4Environment პროგრამა. ახალი პროგრამა ხელს შეუწყობს წყლის რესურსების მდგრად მართვას შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით: მდინარეთა აუზების მართვის დაგეგმვის შესაძლებლობების გაძლერება, წყლის რესურსების ეფექტური განაწილება, დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა, წყლის რესურსების მონიტორინგის ახალი მიდგომები, მათ შორის COVID-19 შედეგების გათვალისწინებით, წყლის რესურსების და ჯანმრთელობის საკითხები, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, ეკონომიკურად დასაბუთებული წყლის რესურსების სტატისტიკა და პოლიტიკა და პრიორიტეტული ინტერვენციებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზება. აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში პროგრამა ფოკუსირებული იქნება დაინტერესებულ მხარეებს შორის პოლიტიკურ დიალოგზე.

ახალი პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვებას ნარჩენებზე, მიწის გამოყენებაზე, სოფლის მეურნეობაზე, ჰაერის და წყლის ხარისხზე და ამ მონაცემებს ხელმისაწვდომს გახდის გადაწყვეტილების მიმღებებისთვის და რიგითი მოქალაქეებისთვის. ეს ღონისძიებები ეფუძნება და უზრუნველყოფს წინათ განხორციელებული ისეთი პროგრამების განგრძობადობას, როგორიცაა „ზიარი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის მე-2 ფაზა“ და „ევროკავშირის წყლის ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის“. ამ ორმა პროგრამამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გარემოსდაცვითი მონიტორინგის და მონაცემთა ანალიზის სისტემების მოდერნიზაციაში. ასევე ხელი შეუწყო მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათი კანონმდებლობის თავსებადობას ევროკავშირის და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით ევროკავშირის წყლის რესურსების ჩარჩო დირექტივასთან.

“EU4Environment – წყლის რესურსები და მონაცემები“ პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორები არიან: ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), ავსტრიის გარემოსდაცვითი სააგენტო (UBA), წყლის რესურსების საერთაშორისო ოფისი (OiEau) (საფრანგეთ), ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის (UNECE).

“EU4Environment – წყლის რესურსები და მონაცემები” -მოკლე მიმოხილვა

მიზანი: ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მწვანე ტრანსფორმაცია ევროკავშირის მწვანე შეთანხმების და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესაბამისად.

ორი მიმართულება:

- **წყლის რესურსები:** სასმელი წყლის რესურსების უფრო მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა
- **გარემოსდაცვითი მონაცემები:** სანდო გარემოსდაცვითი სტატისტიკური მონაცემების გამოყენების გაფართოება და გაუმჯობესება

ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა.

ხანგრძლივობა: 2021-24 წწ

ბიუჯეტი: 12.75 მილიონი ევრო (ევროკავშირის წვლილი: 12 მილიონი ევრო)

განმახორციელებელი ორგანიზაციები:
ADA, UBA, OiEau, OECD, UNECE

პროგრამის დაწყებისადმი მიძღვნილი რეგიონული შეხვედრა:
9 თებერვალი, 2022

პროგრამის შესახებ

EU4Environment

Green Economy in Eastern Partner Countries

ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

- **ბიუჯეტი:** : დაახლოებით 20 მილიონი ევრო (ევროკავშირის 19.5 მილიონი ევროს კონტრიბუციით)
- **ხანგრძლივობა**: 2019-24 წწ
- **განმახორციელებელი ორგანიზაციები**: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის (UNECE), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მსოფლიო ბანკი
- **საერთო ხელმძღვანელობა**: ევროკომისია
- **წამყვანი ეროვნული პარტნიორები**: გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სამინისტროები



გვიხილეთ:

www.eu4environment.org/

www.facebook.com/EU4Environment-100539842031096

www.youtube.com/channel/UCi1GrwqTT-WJ30ztZMPq3xw

www.flickr.com/photos/182351066@N07

http://eepurl.com/gUNbg1

დაგვიკავშირდით:

eu4environment@oecd.org

პასუხისმგებლობის საკითხი: ქვეყნის პროფილი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ პუბლიკაციაში მოყვანილი მოსაზრებები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის, მისი წევრი ქვეყნების ან აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების მთავრობების ოფიციალურ პოზიციად. ეს დოკუმენტი არავითარ შემთხვევაში კითხვის ქვეშ არ აყენებს ნებისმიერი ქვეყნის სტატუს, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

წყარო: OECD.stat. ეს ბროშურა მომზადდა "EU4Environment – მწვანე ეკონომიკა" და "EU4Environment – წყლის რესურსები და მონაცემები" განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით. ინფორმაციის შეგროვების და გადამოწმების თვალსაზრისით, ღირებული დახმარება აღმოგვიჩინა ბ-ნმა მალხაზ ადეიშვილმა (EU4Environment ეროვნული კოორდინატორი საქართველოში). ბროშურის რედაქტირება ინგლისურ ენაზე განახორციელა ბ-ნ მარკ ფოსმა.

ყველა სურათი © Shutterstock.com

პროგრამა ხორციელდება შემდეგი ორგანიზაციების მიერ:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP